

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრის აპარატი



2018 წლის მეორე კვარტლის ანგარიში

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ნდობის აღდგენისა და შერიგების სფეროში ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დაშორებულ საზოგადოებას შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობა მიმდინარეობდა დებულებით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

პროგრამული პროექტი - „შევსწავლოთ აფხაზური ენა“ (ქ. თბილისი, I – II კვარტალი)

პროექტი განკუთვნილი იყო დევნილთათვის, აფხაზეთში და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები აფხაზებისთვის და, ასევე, აჭარაში მცხოვრები აფხაზებისთვის. იგი ითვალისწინებდა ქართველთა და აფხაზთა საერთო ინტერესის განსაზღვრას და ხელშეწყობას. პროექტის მიზანია ორ მოძმე ერს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესება და ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენა. პროექტის ფარგლებში მსურველებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ აფხაზურ ენას, კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს. პროექტი ითვალისწინებდა აფხაზური ენის შემსწავლელი კურსის უზრუნველყოფას სწავლების ორგანიზებისა და მეთოდოლოგიის კურსით, სასწავლო აუდიო და ანიმაციური ვიდეო დისკების შექმნას და სხვ.

პროექტის „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“ ფარგლებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გახსნა (ზუგდიდი, სოფ. ინგირი, 30 მაისი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის პარტნიორობითა და აქტიური თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს SOS ბავშვთა სოფელმა 2017 წლის ივნისში შეიმუშავა საპროექტო განაცხადი, რომელიც განსახილველად წარედგინა ავსტრიის სპორტის სამინისტროს. პროექტის მთავარი მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, დევნილთა ჩასახლებაში (ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობა) სპორტულ-გამაჯანსაღებელი

ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ითვალისწინებდა სპორტული მოედნების (კალათბურთისა და ფეხბურთის) მოწყობას, ასევე, სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვას. დონორი ორგანიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო პროექტის მოსარგებლები ყოფილიყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები.

ავსტრიის სპორტის სამინისტრომ დადებითად შეაფასა წარდგენილი პროექტი. პროექტის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია იქ მცხოვრები დევნილებისთვის ბავშვების მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვისა და განმტკიცების ხელის შეწყობის კუთხით.

2018 წლის 30 მაისს ივნისს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მხარდაჭერითა და თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელმა“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლაში პროექტის „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“ ფარგლებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი (სპორტული და სათამაშო მოედნები) გახსნა.

პროგრამული პროექტი - „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ (თბილისი 21-23 ივნისი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი, პროგრამის - „სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში განახორციელა პროექტი „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“.

პროექტი მიზნად ისახავდა კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებას, ეროვნული კულტურული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. პროექტი ითვალისწინებდა, ასევე, მონაწილეების მიერ სამომავლო თანამშრომლობის გეგმების შემუშავებას, ანალიტიკური აზროვნებისა და აქტიური მოქალაქეობის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია ნდობის მშენებლობისათვის და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. ახალგაზრდები შეძლებენ მიღებული ცოდნა ფართოდ გამოიყენონ მულტიკულტურულ საზოგადოებასთან დიალოგის დროს. პროექტი ხელს შეუწყობს ინოვაციური მიდგომებისა და სამშვიდობო ხედვების გამოვლენას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების ეროვნული იდენტობის სწორად ფორმირებისათვის. აღნიშნული შეხვედრები დაახლოებს კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს, გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

პროექტის შედეგად მოხდება ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით,

პროექტში მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ (10 ქართველი და 10 აფხაზი).

აღნიშნული პროექტი მოიცავდა შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს:

1. დისკუსიები თემაზე: „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, წარსული და მომავალი“.
2. ფოტოგამოფენის მოწყობა, რომელზეც უკვე ერთი თვეა მუშაობენ აფხაზი ახალგაზრდები აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც იღებენ ფოტოებს აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობასთან დაკავშირებით.
3. პროექტი ითვალისწინებდა, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო ტურს ძველ თბილისში, სადაც ტოლერანტობისა და მეგობრობის უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.
4. პროექტის მონაწილეების შეხვედრა პატრიარქთან.